საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მარიკა არევაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარინე ცუცქირიძე - კოლეგიის წევრი

ინგა ნებიერიძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: თ. გ., ზ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.07.2023

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 060/23

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ა. კ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ა. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2023 წლის 05 ივლისს საჩივრით მომართეს თ. გ.-მ და ზ. კ.-მ და მოითხოვეს ადვოკატ ა. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორები ესწრებოდნენ 26/07/2023 წელს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომას, სადაც წარმოადგინეს ზეპირი განმარტებები და მხარი დაუჭირეს წერილობით საჩივარს.

1.2 საჩივრის ავტორთა განმარტებით, 2022 წლის 30 დეკემბერს ზ. კ.-ს ისანი-სამგორის რაიონის N6 განყოფილებაში წაუყენეს ბრალი და თ. გ., მეუღლის - ზ. კ.-ის, ინტერესების დასაცავად,

საადვოკატო მომსახურებისათვის შეუთანხმდა ადვოკატ ა. კ.-ს. მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატმა მოითხოვა ჰონორარი - 4000 აშშ დოლარი, რომლის სანაცვლოდ ის კლიენტის ინტერესების დასაცავდ განახორციელებდა ყველა საჭირო მოქმედებას, კერძოდ, ადვოკატი დაესწრებოდა ბრალის წარდგენის სხდომას, შეისწავლიდა საქმის მასალებს, ჩაერთვებოდა გამოძიების ეტაპზე ყველა საგამოძიებო მოქმედებაში და სასამართლო პროცესებზე დაიცავდა კლიენტის ინეტერესებს. საჩივრის ავტორთა განცხადებით, პირველ ეტაპზე ადვოკატს ჩაურიცხეს ორდერის თანხა - 500 ლარი. სასამართლო პროცესის ჩანიშვნამდე ადვოკატი დაუკავშირდა მათ და ითხოვა გარკვეული ოდენობის თანხის მისთვის დამატებით ჩარიცხვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ადვოკატი ვერ შეძლებდა მომსახურეობის გაწევას. თ. გ.-ის განმარტებით, ის რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში, შესაბამისად, მის ოჯახს ჰქონდა მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, ამიტომ ადვოკატისათვის თანხის ჩარიცხვა მათთვის დიდ ძალისხმევას უკავშირდებოდა, თუმცა მეუღლის გათვაისუფლების ინტერესიდან გამომდინარე, იძულებული აღმოჩნდა ადვოკატისათვის თანხა ჩაერიცხათ. საჩივრის ავტორთა განმარტებით, აღნიშნული თანხის მოპოვების მიზნით მათ მოუწიათ არასრულწლოვანი შვილების ნათლობის ჯვრების დალომბარდება და თანხის პირველი ჩარიცხვიდან ორი კვირის განმავლობაში ადვოკატს ნაწილ-ნაწილ ჩაურიცხეს ჯამში 2000 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხები, გარდა ორდერის თანხისა, ადვოკატ ა. კ.-ის მითითების შესაბამისად, მათ გადარიცხეს გ. გ.-ის პირად ანგარიშზე, შემდეგ კი, სატელეფონო შეტყობინების სახით, გადახდის ქვითრების მეშვეობით ადვოკატს უდასტურებდნენ თანხის ჩარიცხვის შესახებ ინფორმაციას. მომჩივანთა პოზიციით, ვინაიდან ადვოკატი ორიენტირებული იყო ფულადი სახსრების მიღებაზე, ყოველდღე ურეკავდა მათ თანხასთან დაკავშირებით.

1.3 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა ა. კ.-მ მას შემდეგ რაც თანხები სრულად მიიღო, გაწყვიტა მათთან კომუნიკაცია. ადვოკატი 4 ჩატარებული სასამართლო პროცესიდან გამოცხადდა მხოლოდ 2 პროცესზე. ერთ პროცესზე ადვოკატი საერთოდ არ გამოცხადებულა და არც საპატიო მიზეზი წარუდგენია სასამართლოსათვის. პროცესზე გამოუცხადებლობის გამო ადვოკატი მოსამართლემ 200 ლარით დააჯარიმა. ადვოკატი პროცესის დასრულების შემდეგაც არ დაინტერესებულა პროცესის მიმდინარეობით. ადვოკატი, ჯარიმის გამოწერის შემდეგ, მომდევნო სასამართლო სხდომაზეც არ გამოცხადდა და კლიენტის გაფრთხილ;ების გარეშე, პროცესზე სრულიად უცხო ადამიანი გამოუშვა, რომელსაც კლიენტებისათვის საადვოკატო მომსახურეობა არ გაუწევია და არც პროცესის მიმდინარეობისას განუხორციელებია მოქმედებები.

1.4 მომჩივანთა განცხადებით, ადვოკატი არ პასუხობდა მათ ზარებსა და მოკლე ტექსტურ შეტყობინებებს. ზ. კ.-ის დაჟინებული თხოვნის შედეგად, მხოლოდ ორჯერ მოახერხა პირისპირ შეხვედროდა ადვოკატს. ადვოკატმა უარი განუცხადა კლიენტს დასწრებოდა ბრალის წარდგენას. ამასთან, არ გამოუთხოვია საქმის მასალები, რომ საქმე შეესწავლა.

1.5 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ზ. კ.-ს სასამართლომ დააკისრა აღკვეთის ღონისძიება - გირაო 4000 ლარის ოდენობით, ადვოკატი მათ დაუკავშირდა და ჰკითხა თუ რა ოდენობის თანხა ჰქონდათ შეგროვებული. საჩივრის ავტორებმა ადვოკატს განუცხადეს, რომ ხელთ ჰქონდათ 2000 ლარი. ადვოკატმა თ. გ.-ს ურჩია, რომ „ეს თანხა მისთვის ჩაერიცხათ და ამით

მასთან ანგარიში გასწორებული იქნებოდა, ხოლო ზ. კ.-ს გირაოს თანხის გადაუხდელობის გამო არ დაიჭერდნენ.“ ამასთან, ადვოკატმა მათ ურჩია, რომ არ განეცხადებინათ იმფორმაცია სოციალურად დაუცველის სტატუსის შესახებ, რადგან ეს არაფერში დაეხმარებოდათ.

1.6 საჩივრის ავტორთა განმარტებით, ადვოკატმა მიღებული თანხის ფარგლებში არ გაუწიათ საადვოკატო მომსახურება, შეწყვიტა მათთან კომუნიკაცია და სამართლებრივ დავაში ისინი მიატოვა. ვინაიდან, ადვოკატი უპასუხისმგებლობას იჩენდა მათ მიმართ, იძულებული გახდნენ თავად განეცხადებინათ მისთვის აცილება. საჩივრის ავტორებმა სცადეს აღნიშნული ინფორმაცია მიეწოდებინათ ადვოკატისათვის, თუმცა ის არ პასუხობდა კლიენტების სატელეფონო ზარებს. მოგვიანებით, საჩივრის ავტორებს დაუკავშირდათ ადვოკატ ა. კ.-ის თანაშემწე, რომელსაც საჩივრის ავტორთა აღქმით ადვოკატი ა. კ. კარნახობდა თუ რა უნდა ეთქვა კლიენტებისათვის. ადვოკატი უარყოფდა მათგან თანხის მიღების ფაქტს და თავს არიდებდა მათთან კომუნიკაციას. საჩივრის ავტორების განცხადებით, ადვოკატი ემუქრებოდათ, რომ „მათ არ იცოდნენ ვის ესაუბრებოდნენ და მათი ასეთი ქმედებებით იმდენს გააკეთებდნენ, რომ ზ. კ.-ს დააკავებდნენ“.

1.7 2023 წლის 26 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა განმარტეს, რომ მათ 2023 წლის 26 აპრილსაც ჰქონდათ, იმავე პრეტენზიებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიაში საჩივარი წარდგენილი ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ, თუმცა დისციპლინური საქმისწარმოების პროცესში ადვოკატი შეუთანხმდა მათ, რომ სრულად დაუბრუნებდა მიღებულ თანხებს, თუ ისინი საჩივარს გაიხმობდნენ. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მათ გაიხმეს ეთიკის კომისიაში 2023 წლის 26 აპრილს წარდგენილი საჩივარი 2023 წლის 8 მაისს, განაცხადეს რომ ადვოკატის მიმართ აღარ ჰქონდათ პრეტენზია და მოითხოვეს დისციპლინური წარმოების შეწყვეტა. მიუხედავად ამისა, ადვოკატმა არ შეასრულა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება და საჩივრის ავტორებს მიღებული თანხიდან მხოლოდ ათასი ლარი დაუბრუნა, რის შემდეგაც დაბლოკა მათი ტელეფონის ნომრები და თავს არიდებდა მათთან კომუნიკაციას. 2023 წლის 26 ივლისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ზ. კ.-მ განმარტა, რომ ის არც ახლაა წინააღმდეგი გაიხმოს საჩივარი, თუ ადვოკატი ა. კ. სრულად დააბრუნებს მათგან მიღებულ თანხას.

1.8 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 26 ივლისის სხდომაზე საჩივრის ავტორებმა იშუამდგომლეს მოწმეების: ი. ი.-ს, ხ. ძ.-ს და ე. შ.-ს გამოკითხვის თაობაზე. საჩივრის ავტორთა განმარტებით, მოწმეები დაადასტურებდნენ ადვოკატ ა. კ.-სთან ფულად სახსრებზე კომუნიკაციისა და თანხის ადვოკატისათვის გადაცემის ფაქტებს. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებით, დაკმაყოფილდა სამივე მოწმის გამოკითხვის შუამდგომლობა, თუმცა საჩივრის ავტორებმა 2023 წლის 3 აგვისტოს საპროცესო კოლეგიას მიაწოდეს ინფორმაცია, რომ ვერ უზრუნველყოფდნენ მოწმე ე. შ.-ს წარმოდგენას და სურდათ მოწმის სახით გამოკითხულიყვნენ მხოლოდ ი. ი. და ხ. ძ.. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ განმარტებები მიიღო მოწმეების: ი. ი.-ს და ხ. ძ.-სგან.

1.9 საჩივრის ავტორთა შუამდგომლობის საფუძველზე, საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 3 აგვისტოს სხდომაზე, მოწმის სტატუსით გამოიკითხნენ ი. ი. და ხ. ძ., რომლებმაც დაადასტურეს საჩივრის ავტორების მიერ მითითებული გარმოებები.

1.10 თ. გ.-მ 2023 წლის პირვლ ნოემბერს სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი განცხადება და ზ. კ.-ის მიერ მისთვის 2023 წლის 10

ივლისს სანოტარო წესით გაფორმებული მინდობილობა N. განცხადებაში თ. გ.-მ მიუთითა, რომ მასსა და ზ. კ.-ს აღარ აქვთ პრეტენზია ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ და მოითხოვა დისციპლინური წარმოების შეწყვეტა. 2023 წლის 6 ნოემბრს, ეთიკის კომისიას იმავე შინაარსის განცხადება წარუდგინა თავად ზ. კ.-მც.

2. ადვოკატის ახსნა-განმარტება:

2.1 2023 წლის 9 აგვისტოს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, ადვოკატმა ა. კ.-მ ზეპირი განმარტება წარმოადგინა თ. გ.-ისა და ზ. კ.-ის საჩივართან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატს საჩივარი და საქმის მასალები ჩაბარდა 2023 წლის 20 ივლისს, ელექტრონული ფოსტის საშუალებით, მას ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება არ წარმოუდგენია.

2.2 ადვოკატის განმარტებით, ზ. კ.-ს სისხლის სამართლის საქმისწარმოებაში საადვოკატო მომსახურების გაწევაზე შეუთანხმდა 2022 წლის აპრილის თვეში. მხარეთა შეთანხმებით, საადვოკატო მომსახურების საფასურად განისაზღვრა 5000 აშშ დოლარი, რაც მომჩივანს ადვოკატისათვის მათ შორის ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის დაწყებისას, ერთიანად უნდა გადაეხდა, რაც არ შეასრულა ზ. კ.-მ. ადვოკატის განმარტებით, მან სხვადასხვა სამართლებრივი მოქმედებები შეასრულა ზ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმეზე საგამოძიებო ეტაპზე, მონაწილეობდა წინასასამართლო სხდომაში და მისი ჩართულობის შედეგად სასამართლომ შეამცირა გირაოს თანხა. ადვოკატის განმარტებით, ის კლიენტებს შეუთანხმდა, რომ მასთან ერთად საქმეში ჩაერთვებოდა ადვოკატი ბ. ჯ.-ც, რაზეც კლიენტებს პრეტენზია არ გამოუთქვამთ. ადვოკატმა დაადასტურა, რომ ის ზ. კ.-ის ადვოკატი იყო სასამართლოში საქმის არსებით განხილვამდე. ადვოკატმა განმარტა, რომ ზ. კ. და თ. გ. ფაქტებს არასწორად წარმოადგენენ, კერძოდ, მან დააგვიანა ერთ სასამართლო სხდომაზე და ვერ გამოცხადდა ერთ-ერთ პროცესზე, თუმცა კლიენტი არც ამ დროს დარჩენილა დაცვის გარეშე და ზ. კ.-ის ინტერესებს წარმოადგენდა ადვოკატი ბ. ჯ.

2.3 ადვოკატის განმარტებით, თ. გ. და ზ. კ. არასწორ ინფორმაციას აწვდიან ეთიკის კომისიას მათ შორის არსებული შეთანხმების შესახებ, კერძოდ, მხარეთა შეთანხმებით, ადვოკატ ა. კ.-ს საჩივრის ავტორებისათვის უნდა დაებრუნებინა მხოლოდ 1000 ლარი, რის შემდეგაც ისინი გაითხოვდნენ ეთიკის კომისიაში 2023 წლის 26 აპრილს წარმოდგენილ საჩივარს. ადვოკატ ა. კ.-ის მიერ შესრულდა შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულება.

2.4 2023 წლის 26 აპრილის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ა. კ.-მ განმარტა, რომ მას არ მოუთხოვია გირაოს თანხა საჩივრის ავტორებისათვის, კლიენტებთან ასეთ საუბარს ადგილი არ ჰქონია და ზ. კ.-სა და თ. გ.-ს გირაოს თანხა დამოუკიდებლად უნდა შეეტანათ სახელმწიფო ხაზინის ანგარიშზე.

2.5 საპროცესო კოლეგიის 2023 წლის 9 აგვისტოს სხდომაზე ადვოკატმა იშუამდგომლა დამატებითი მასალების წარმოდგენაზე და კოლეგიას მიმართა შუამდგომლობით, სასამართლოდან გამოეთხოვათ ზ. კ.-ის სისხლის სამართლის საქმის მასალები, ვინაიდან სასამართლომ პირადად მას, როგორც არაუფლებამოსილ პირს, უარი განუცხადა მასალების მიწოდებაზე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ დოკუმენტებს, კლიენტთან სატელეფონო

კომუნიკაციის დამადასტურებელ მტკიცებულებებთან ერთად წარმოადგენდა 10 დღის ვადაში. საპროცესო კოლეგიის მიერ არ დაკმაყოფილდა ადვოკატის შუამდგომლობა სასამართლოდან მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოთხოვის თაობაზე, თუმცა აღნიშნული მასალების წარმოდგენა დაევალათ თ. გ.-სა და ზ. კ.-ს. ადვოკატმა ა. კ.-მ 2023 წლის 9 აგვისტოს წარმოადგინა სასამართლოდან მიღებული დამატებითი მასალები და უცნობ ადრესატთან მიმოწერის „სქრინი". თ. გ.-სა და ზ. კ.-ს ეთიკის კომისიაში სისხლის სამართლის საქმის მასალები არ წარმოუდგენიათ.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის შეფასება:

3.1 2023 წლის 16 აგვისტოს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატის მხრიდან ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა (კერძოდ, ადვოკატის მხრიდან დარღვეულია ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 5(ა), 6.2 მუხლები, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.5, 8.6, 8.13 და 8.15 მუხლები), რაც გამოიხატა შემდეგ ქმედებებში: ადვოკატი არ ცხადდებოდა პროცესებზე, არ აწვდიდა კლიენტს ინ ფორმაციას საქმის მიმდინარეობის თაობაზე, ადვოკატმა დანიშნულებისამებრ არ გამოიყენა კლიენტისაგან მიღებული გირაოს თანხა და არ დაუბრუნა კლიენტს მისგან მიღებული ფულადი სახსრები. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიამ აღძრა დისციპლინური დევნა მოპასუხე ადვოკატის - ა. კ.-ის მიმართ.

II სამოტივაციო ნაწილი

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2023 წლის პირველ და სამ ნოემბერს, საჩივრის ავტორებმა თ. გ.-მ და ზ. კ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინეს განცხადება, რომლის მიხედვით მათ აღარ აქვთ პრეტენზიები ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ და სურთ დისციპლინურ საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

4.2 დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე (ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულება, 22.1(ბ) მუხლი).

4.3 განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ა. კ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება, რადგან საჩივრის ავტორებმა უარი თქვეს საჩივარზე.

4.4 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 4.5, 4.6, 5.7, 22.1(ბ), 33-35, 37 მუხლებით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №060/23 ადვოკატ ა. კ.-ის /სიითი №/ მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შესახებ საბოლოოა და არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /მარინე ცუცქირიძე/

კოლეგიის წევრი: /ინგა ნებიერიძე/